ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის

სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამა

იაშაღაშვილი გიორგი

ეთერი ახმეტელი

აზარტულ თამაშებზე დამოკიდებული სტუდენტების სოციალური გარემოს კვლევა

ნაშრომი შესრულებულია სოციოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი: ნინო დურგლიშვილი

თსუ ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2023

ანოტაცია

ეს კვლევითი ნაშრომი მიზნად ისახავს შეისწავლოს საქართველოში სტუდენტების დამოკიდებულება და ჩართულობა აზარტულ თამაშებში, ასევე აზარტული თამაშების უარყოფითი გავლენა მათი ცხოვრების მისწრაფებებზე. გარდა ამისა, განხილული იქნება აზარტულ თამაშებთან დაკავშირებული საკითხების გადასაჭრელად განხორციელებული სამთავრობო რეგულაციების ეფექტურობა, რომელიც 2022 წლის პირველი მარტიდან შევიდა ძალაში. კვლევა აღიარებს, რომ სათამაშო ბიზნესს აქვს დიდი ხნის ისტორია და დღესაც არის გართობის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ფორმა მსოფლიოში. თუმცა, იგი ასევე აღიარებს აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულების შედეგად გამოწვეულ საზიანო პრობლემებსაც, მათ შორის ფსიქოლოგიურ და ფინანსური პრობლემებს. კვლევა შეისწავლის საერთაშორისო სტატისტიკას და მაგალითებს ისეთი ქვეყნებიდან, როგორიცაა შეერთებული შტატები, გაერთიანებული სამეფო, იტალია, კანადა და რუსეთი, რათა მიაწოდოს საზოგადოებას ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორი მიდგომა და პრაქტიკა არსებობს სხვადასხვა ქვეყნებში აზარტული თამაშების რეგულირების და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულების მქონე პირების მხარდაჭერის კუთხით. გარდა ამისა, განხილული იქნება საქართველოში მსგავსი ორგანიზაციების არარსებობის ფაქტი რაც ხაზს უსვამს ქვეყნის შიგნით ფსიქოლოგიური მიდგომებისა და მხარდაჭერის სისტემების საჭიროებას. ამ კვლევის შედეგებმა შეიძლება ხელი შეუწყოს სტუდენტებსა და საქართველოში ფართო მოსახლეობას შორის აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულების აღმოსაფხვრელად ეფექტური სტრატეგიების შემუშავებას.

სარჩევი

შესავალი,საკითხის დასმა და აქტუალობა,კვლევის დიზაინი,ამოცანები.....4

კვლევის მეთოდები და შერჩევა,შერჩევის მოდელის აღწერა,შერჩევის კრიტერიუმები,ინფორმაციის მოპოვების მეთოდების აღწერა,მონაცემთა ანალიზის მეთოდების დახასიათება.....5

ცვლადები და ოპერაციონალიზაცია.....6

ტექსტის ძირითადი ნაწილი

1. ლიტერატურის მიმოხილვა.....6

1.1 აზარტული თამაშების ისტორია.....7

1.2 საქართველოს და უცხოური ქვეყნების სტატისტიკა.....9

1.3 საერთაშორისო ორგანიზაცია,იტალიის,ამერიკის და რუსეთის პრაქტიკა,სერვისები.....12

1.4 აზარტული თამაშების დამოკიდებულებასთან დაკავშირებული რისკები და გამოწვევები.....18

1.5 აზარტული თამაშების დამოკიდებულება და სუიციდი: დამთხვევა თუ პირდაპირი კავშირი?.....19

1.6 შესაძლო კავშირების და მიზეზების განხილვა.....21

1.7 აზარტული თამაშების სარეკლამო პოლტიკა: მარკეტინგული ხრიკები თუ ფსიქოლოგიური ზეწოლა.....22

1.8ჰოვარდ ბეკერის თეორია დევიაცია და სოციალური კონტროლი.....23

ემპირიული კვლევის ეტაპები და შედეგები

სტუდენტთა დამოკიდებულება აზარტული თამაშების მიმართ

2. ონლაინ გამოკითხვა.....24

2.1სიღრმისეული ინტერვიუ.....30

რეკომენდაციები.....35

დასკვნა.....36

გამოყენებული ლიტერატურა.....38

დანართები.....39

კვლევის მიზანი

აღნიშნული კვლევის მიზანია,დავადგინოთ, თუ რატომ უჩნდებათ სტუდენტებს ინტერესი აზარტული თამაშების მიმართ, როგორი დამოკიდებულება აქვთ ქართველ სტუდენტებს აზარტული თამაშების მიმართ და რა სახის გავლენა მოახდინა აზარტულმა თამაშებმა მათ სოციალურ გარემოზე.

ამოცანები

1. რა სახის ინფორმაციას ფლობენ სტუდენტები აზარტულ თამაშებზე, საიდან იღებენ ისინი ამას და თითონ რა გზით/მიზეზით ჩაერთნენ ამ სფეროში.

2. გავიგოთ ის, თუ რამდენად სერიოზულია ამ სფეროზე დამოკიდებულების პრობლემა ახალგაზრდებში.

3. დავადგინოთ რამდენად დიდი გავლენა აქვს რეკლამის პოლიტიკას აზარტული თამაშების პოპულარიზაციაში.

4. რამდენადაა შესაძლებელი ამ სფეროს აკრძალვა ან მასში ახალგაზრდების ჩართულობის შემცირების რა მექანიზმები შეიძლება ამოქმედდეს.

5. დავადგინოთ რა გზებით შეგვიძლია დავეხმაროთ ამ სფეროზე დამოკიდებულების პრობლემის მქონე ახალგაზრდებს.

6. რა გავლენას ახდენს აზარტული თამაშები სტუდენტის განათლებაზე, ფინანსური დამოუკიდებლობის მოპოვების ფაქტორზე.

7. არის თუარა სტუდენტისთვის არსებული არასაკმარისი ანაზღაურება აზარტულ თამაშებში ჩართულობის ერთ-ერთი მიზეზი.

შერჩევის მეთოდები

ვინაიდან ჩვენი კვლევა მოიცავს ისეთ აქტუალურ საკითხს,როგორიცაა აზარტული თამაშები გადავწყვიტეთ, რომ კვლევა ჩაგვეტარებინა, როგორც თვისებრივი მეთოდით, ასევე რაოდენობრივი მეთოდითაც. თვისებრივი კვლევის მეთოდებიდან კვლევაში გამოყენებული იქნება სიღრმისეული ინტერვიუ,რისი საშუალებითაც მივიღებთ ინფორმაციას ცალკეული პირების გამოცდილების შესახებ. ეს მეთოდი სწორედ შემდეგი მიზეზებისდა გამოა ხელსაყრელი ჩვენი კვლევისთვის, საკითხის დეტალებს რესპონდენტების თვალით დავინახავთ, რაც აუცილებელია კვლევის სრულყოფილებისთვის. ხოლო რაც შეეხება რაოდენობრივ მეთოდს ონლაინ გამოკითხვის საშუალებით შესაძლებლობა მოგვეცემა უფრო მასშტაბური სახე მიეცეს კვლევას და გავიგოთ არა მხოლოდ ცალკეული პირების გამოცდილება, არამედ მრავალი სტუდენტის აზრი და დამოკიდებულება ამ საკითხთან დაკავშირებით.

თემის სენსიტიურობის გათვალისწინებით კვლევისთვის შევარჩიეთ თბილისის სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტები: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი და ა.შ. ამასთან ერთად, მონაცემების საკმაო რაოდენობის მისაღბად აღნიშნული უნივერსიტეტების სტუდენტები გამოიკითხებიან ონლაინ გამოკითხვის მეთოდით სადაც მათი ანონიმურობა სრულიად იქნება დაცული. რაოდენობრივი მეთოდის ჩატარების მიზანი ,კი იყო ის,რომ შეგვქმნოდა ზოგადი სურათი აზარტული თამაშების აქტუალობასთან დაკავშირებით, შესაბამისად ონლაინ გამოკითხვაში ჩართულები არიან არა მხოლოდ მოთამაშეები, არამედ სტუდენტები,რომლებიც უბრალოდ ინფორმაციას ფლობენ ამ საკითხზე. რაც შეეხება პირისპირ ინტერვიუს, ამ შემთხვევაში რესპონდენტებისგან გვსურს მივიღოთ ინფორმაცია საკვლევ საკითხზე ასევე უმჯობესი იქნებოდა მიგვეღო დამატებითი ინფორმაცია და ცოდნა ისეთ ასპექტებზე, რომელიც ჩვენ კვლევას უფრო გაამდიდრებს. პირისპირი ინტერვიუების ჩატარებისას აუცილებელია რესპონდენტებს ქონდეთ უშუალო გამოცდილება აზარტულ თამაშებში ჩართულობისა . ასევე საინტერესო იქნება თუ მათ შორის იქნებიან ისეთი სტუდენტებიც, რომლებიც არიან ან იყვნენ ჩართულები ამ სფეროსა და აქტივობაში. საინტერესო იქნება ისეთი რესპონდენტის აღმოჩენაც,რომელმაც აზარტულ თამაშებს თავი დააღწია.

იმისთვის რომ ჩატარებული კვლევა უფრო სიღრმისეული, საზოგადოებისთვის გასაგები და სრულყოფილი იყოს, აუცილებელია იმ ცნებების, თუ ტერმინების განმარტება, რომლებმაც შეიძლება დამატებითი კითხვები გაუჩინოს ადამიანებს.

ცვლადები და ოპერაციონალიზაცია

სტუდენტი- პირი, რომელიც ამ კანონითა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით განსაზღვრული წესით ჩაირიცხა და სწავლობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ბაკალავრიატის, მაგისტრატურის ან

დოქტორანტურის საფეხურზე. (საქართველოს კანონმდებლობა უმაღლესი განათლების შესახებ, მუხ.2 ¾14)

ინდიკატორი: ფლობს ატესტატს და ერთიან ეროვნულ გამოცდებში მიღებული შედეგების საფუძველზე ჩარიცხულია უმაღლესს სასწავლებელში 2019წლის ჩათ.

დამოკიდებულება- მდგომარეობა, როცა ორგანიზმი ფუნქციონირებისათვის ითხოვს ნარკოტიკს და ნარკოტიკების არ არსებობას თან ახლავს დამანგრეველი, მტკივნეული ფსიქიკური და ფიზიკური რეაქციები. (http://dictionary.css.ge/content/addiction)

ლუდომანია- იმპულსების კონტროლის დარღვევა, რომლის დროსაც ადამიანი დებს სხვადასხვა სახის ფსონებს - კაზინოებში, დოღებში, ბუკმეიკერებთან - რაც კომპრომისს, არღვევს ან აზიანებს პირად, ოჯახურ ან პროფესიულ საქმიანობას

აზარტული თამაშების ისტორია

ცნება „აზარტული თამაშები“ მთელს მსოფლიოშია გავრცელებული. აზარტულმა თამაშებმა უამრავ ქვეყანაში მოიკიდა ფეხი, აქედან გამომდინარე თამამად შეგვიძლია ვთქვათ,რომ აზარტული თამაშები შემოსავლიან ბიზნესად ჩამოყალიბდა. სათამაშო ბიზნესში არსებობს ათეულობით მსხვილი კომპანია,რომლებზეც დგას აზარტული თამაშები. როდესაც აზარტულ თამაშებს ვახსენებთ,აუცილებელია ისტორია დავიწყოთ თავიდან. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს,რომ თამაშით ფულის მოგება საუკუნეების წინ იყო პოპულარული. ამას ადასტურებს ჩვენს ერამდე არსებული წერილობითი ცნობები უფრო კონკრეტულად კი ფსონის ჩამოსვლის ფაქტი. თამაშების დამადასტურებელი ფაქტია ჩვენს ერამდე VII-ე საუკუნით დათარიღებული ციფრებიანი კუბიკებიც. აზარტული თამაშების სფეროში არსებობს რამდენიმე გავრცელებული თამაში, რომელიც გასული საუკუნეებიდან (1371 წლიდან) დღემდე დიდი პოპულარობით სარგებლობს. ეს თამაშები გახლავთ ბანქო და ლატარია. არსებობს მკვლევართა მრავალი ჩანაწერი იმის შესახებ,რომ ეგრეთწოდებული „ჩინეთის დიდი კედელი“ სწორედ ლატარიიდან

შემოსული თანხით აშენდა. თამაშით ფულის მოპოვებამ იმდენად მოხიბლა საზოგადოება, რომ მათ დაიწყეს ადგილების მოწყობა, რომლებიც სპეციალურად თამაშებისთვის იქნებოდა განკუთვნილი. პირველი სამორინე 1626 წელს გაიხსნა იტალიაში, თუმცა ამ ფაქტს თავიდან დიდი გამოხმაურება არ მოჰყოლია. თუმცა, სულ მცირე დროში იმდენად განვითარდა ეს ბიზნესი,რომ IXX-ე საუკუნიდან ევროპის ყველა ქვეყანაში მოიკიდა ფეხი. გამონაკლისი არც საქართველო ყოფილა. 1990 წელს ქალაქ თბილისში პირველი კაზინო გაიხსნა. აზარტული თამაშების ბიზნესში უამრავი ადამიანია დასაქმებული მთელი მსოფლიოს მასშტაბით, გამონაკლისი არც საქართველოა და ამას მოწმობს სტატისტიკაც. საქართველოს სათამაშო ბიზნესში დასაქმებულთა რიცხვმა ამჟამდ 10,000 ადამიანს გადააჭარბა ამ რიცხვში მოიაზრება, როგორც ონლაინ, ასევე მიწის კაზინოები.(https://www.gga.org.ge/statistics/5)

მოცემული გვაქვს ასევე 2017 წლიდან მოყოლებული როგორ იზრდებოდა დასაქმებულთა რიცხვი. აღსანიშნავია, რომ 2019 წელს 14,000-ს გადააჭარბა დასაქმებულთა რიცხვმა, თუმცა 2020 წელს იკლო, რაც ვფიქრობთ პანდემიამ განაპირობა, დანაკარგი საგანგაშო არ არის რაც არის სწორედ ონლაინ კაზინოების დამსახურება.

რადგან სათამაშო სფეროში ადამიანთა გარკვეული ნაწილია დასაქმებული ეს იმას არ ნიშნავს, რომ აზარტულ თამაშებს ადამიანებისთვის სარგებელი მოაქვს. თუ აზარტული თამაშების არსებობის დადებით მხარედ დასაქმებულთა რიცხვს განვიხილავთ აქვე უნდა განვიხილოთ მისი უარყოფითი მხარე. საქართველოში ყოველი მეექვსე (17%) თამაშობს აზარტულ თამაშებს. ყოველ დღე ან კვირაში რამდენჯერმე 480,000 მოქალაქე დებს ფსონს. აქედან 35% არის შემლებული სეგმენტი, საშუალო ფენა-38% სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი 27% (https://on.ge/story/6606 9/10/2020) საქართველოს მოსახლეობის უმეტესობა უარყოფითად არის განწყობილი აზარტული თამაშების მიმართ. 92% უარყოფითადაა

განწყობილი აზარტული თამაშების მიმართ, 63%-ის აზრით საერთოდ უნდა აიკრძალოს, ხოლო 29% ფიქრობს,რომ უმჯობესია ნაწილობრივ შეიზღუდოს იგი. (https://netgazeti.ge/life/43076/ 30/07/2015)

ამ მოანცემებს თუ დავეყრდნობით, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება რეგულაციების გატარებასთან დაკავშირებით საფუძვლიანია.რეგულაციები შემდეგნაირია: 2022 წლის 1 მარტიდან ყველა 25 წლამდე პირს აეკრძალა აზარტულ თამაშებში ჩართულობა და დაებლოკათ ყველანაირი ონლაინ ანგარიში.(https://www.rs.ge/LawNewsArchive?newsId=574) რეგულაციის ძალაში შესვლისთანავე დაიბლოკა მილიონამდე ანგარიში,რაც საკმაოდ დიდი ციფრია ისეთი პატარა ქვეყნისთვის როგორიც საქართველოა. სწორედ ეს გახდა მაპროვოცირებელი იმის,რომ გადავწყვიტეთ მსგავს პრობლემატურ თემაზე წარგვედგინა ნაშრომი. საინტერესოა, რა უბიძგებს ახალგაზრდებს იმისკენ, რომ ჩაერთონ აზარტულ თამაშებში. რეგულაციები ამით არ მთავრდება, ასევე იკრძალება ყველანაირი სახის რეკლამირება. რამდენად მოქმედებს აზარტული თამაშების რეკლამირება სათამაშო ბიზნესის ჩართულობაზე? შემცირდება თუ არა ამ აკრძალვით აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულთა რიცხვი. 2015 წლის მონაცემებს თუ დავეყრდნობით, იმის მიუხედავად, რომ მოსახლეობა აზარტული თამაშების მიმართ უარყოფითად არის განწყობილი მისი აქტუალობა მაინც არ იკარგება, თეორიულად შეიძლება შეგვექმნას წარმოდგენა, რომ მთავრობის რეგულაციები დიდ გავლენას ვერ მოახდენს აზარტულ თამაშებში ჩართული პირების რაოდენობის შემცირებაზე. სტატისტიკაზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ თეორიულად ყველა ადამიანმა იცის აზარტული თამაშების მავნებლობაზე, თუმცა ამის მიუხედავად ისინი მაინც ერთვებიან ამ აქტივობაში. საინტერესო იქნება მოვისმინოთ სტუდენტების აზრი ამ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით და გავიგოთ რამდენად ეფექტურია მსგავსი აკრძალვები. ჩვენი ნაშრომის ერთ-ერთი მიზანი სწორედ ისაა, რომ დავადგინოთ, როგორი დამოკიდებულება აქვთ სტუდენტებს აზარტული თამაშების მიმართ, რამდენად არიან ჩართულები, რა უარყოფითი გავლენა იქონია აზარტულმა

თამაშებმა მათ ცხოვრებისეულ მისწრაფებებზე და აისახა თუ არა მთავრობის მიერ შემოღებული რეგულაციები მათი თამაშის ინტენსივობაზე.

რაც უფრო დრო გადის აზარტული თამაშები მით უფრო აქტუალური ხდება, როგორც უკვე აღვნიშნეთ გასული საუკუნეებიდან აზარტული თამაშები პოპულარობას არ კარგავს და ამ პერიოდის მანძილზე საზოგადოებას არ დაუკარგავს ინტერესი მის მიმართ. განსაკუთრებულ ყურადღებას კი ვფიქრობთ სტუდენტები იმსახურებენ, რადგან, პირველ რიგში, ისინი ახალგაზრდა თაობას წარმოადგენენ და ამასთან ერთად, სტატისტიკის მხრივ ამ სოციალურ კლასზე არსებული მონაცემები უფრო სანდოა ვიდრე მთლიანად „ახალგაზრდების“ განხილვა. იმდენად აქტუალური გახდა ეს საკითხი საზოგადოებაში, რომ ხელისუფლებამ შემოიღო გარკვეული სახის რეგულაციები,რომელიც 2022 წლის 1 მარტიდან ამოქმედდა. საინტერესოა, გამოიღო თუ არა ამ რეგულაციებმა რაიმე შედეგი 1 წლის თავზე.

აზარტული თამაშების სტატისტიკა უცხოურ ქვეყნებში

აზარტული თამაშები შეიძლება არის ოფიციალურად „გასართობი“ ბიზნესი, მაგრამ მას მომხმარებელზე მძიმე ფსიქოლოგიური გავლენა აქვს და სწორად ამის შედეგად იჭრება აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულების ფენომენი, რის შედეგადაც ადამიანი მას უყურებს და აღიქვამს, როგორც შემოსავლის წყაროს. აზარტული თამაშები, როგორც უკვე ვახსენეთ, არ არის ადამიანებისთვის მხოლოდ „გართობის“ საგანი, მასზე ინდივიდები იმდენად დამოკიდებულები ხდებიან, რომ უყალიბდებათ სერიოზული სახის ფსიქოლოგიური პრობლემები, რაც გამოხატულია: აგრესიულობაში, „იმპულსურ გემბლინგში“ ,მენტალურ არასტაბილურობასა და გარკვეული პერიოდის შემდეგ სავალალო მატერიალურ/ფინანსურ პრობლემებში. რაც დამატებითი წნეხია ინდივიდზე და რიგ შემთხვევაში ვაწყდებით სუიციდის ფენომენსაც ზემოთ ხსენებული პრობლემების შედეგად. ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციის (American Psychological Association) დადგენილებით ადამიანი შეიძლება განიცდიდეს ეგრეთ წოდებულ „gambling disorder”-

ს(აზარტული თამაშების მიერ გამოწვეულ ფსიქოლოგიურ დარღვევას), თუ მას ახასიათებს შემდეგი სიმპტომები: ტყუილის თქმა იმის თაოებაზე რომ ადამიანი თამაშობს; იგი არ წყვეტს ან ცდილობს რომ შეწყვიტოს ეს ქმედება/ქცევა ; დროის დიდი რაოდენობის დახარჯვა ამ პროცესზე და ამ ქცევაზე ხშირი ფიქრი. ამ პათოლოგიის დასადგენად ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციას შემუშავებული აქ კითხვები რომლებიც ადამიანს შეგვიძლია ამის დასადგენად დავუსვათ. მაგალითად:"ოდესმე მოგიწიათ თქვენთვის მნიშვნელოვანი ადამიანების მოტყუება იმის შესახებ, თუ რამდენს თამაშობდით?"და" გიფიქრიათ ოდესმე მეტი და მეტი ფულის დადების აუცილებლობაზე?"" უშუალოდ ამ ქვეყნის მაგალითის განხილვა რომ დავიწყოთ უნდა აღვნიშნოთ რომ ამერიკის პრობლემური სათამაშო ქცევის ეროვნული საბჭოს (NCPG) ცხელი ხაზის მიმართ მომართვიანობა 43 პროცენტით გაიზარდა; ტექსტური შეტყობინებების სიხშირე 59.8 პროცენტით; ხოლო ონლაინ კონსულტაციის მიმართვიანობა 84.1 პროცენტით. აშშ (https://www.ncpgambling.org/programsresources/helplinemodernization/#:~:text=In%20221%2C%20calls%20to%20the,numbers%20to%20continue%20to%20increase.)

დიდი ბრიტანეთი

დიდი ბრიტანეთის მთავრობის საჯარო ინფორმაციულ საიტზე სამთავრობო სააგენტო “აზარტული თამაშების კომისია“ -ს მიერ(“Gambling Commission”) განთავსებული მონაცემების მიხედვით აზარტულ თამაშებში, როგორც ონლაინ, ისე უშუალოდ კაზინოში, ადგილზე, ჩართულობის მაჩვენებელი მთლიანი მოსახლეობის 44 პროცენტს შეადგენს(დაახლოებით 29 მილიონი ადამიანი). (https://www.gamblingcommission.gov.uk/statistics-and-research/publication/statistics-on-participation-and-problem-gambling-for-the-year-to-march2023#:~:text=In%20year%20to%20March%202023%2C%20the%20in%2Dperson%20gambling%20participation,to%20year%20to%20March%202022).)

აღსანიშნავია ისიც,რომ პანდემიის პერიოდში პერსონალური თამაშები და ფსონები საგრძნობლად შემცირდა, თუმცა ბოლოდროინდელი სტატისტიკის მიხედვით, რომელიც

2023 წელს გამოქვეყნდა ონლაინ კაზინოებში მონაწილეობა საგრძნობლად გაიზარდა, კერძოდ დაახლოებით 22,5 პროცენტით (https://www.xace.io/payments/uk-gambling-statistics-2023)

კანადა

კანადაში კი მამაკაცთა 63 პროცენტი ხოლო ქალების 57 პროცენტი ყოველთვიურად გარკვეული რაოდენობის თანხას აზარტულ თამაშებში ხარჯავს. ონლაინ კაზინოების შემთხვევაში მონაცემები შემდეგნაირად ნაწილდება: ქალების 43 პროცენტი ამბობს რომ ჩართულია მასში ხოლო კაცების შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 56 პროცენტია.

(https://madeinca.ca/gamblingcanadastatistics/#:~:text=Gambling%20Statistics%20for%20Canadians&text=The%20average%20Canadian%20spends%20%246.75,money%20on%20gambling%20every%20month.)

უცხოური ქვეყნები მსგავსი ფსიქოლოგიური პრობლემის მქონე ადამიანებს ეხმარება სხვადასხვა სახით. მაგალითად: არსებობს არაერთი ორგანიზაცია, რომელიც აქტიურად მუშაობს იმ საკითხზე, რომ ადამიანებს დაეხმარონ ლუდომანიასთან ბრძოლაში. ეს არ არის მარტივი პროცესი, ის მოიცავს პროფესიონალურ და კომპლექსურ მიდგომას რაც გულისხმობს: ფსიქოლოგირ კონსულტაციებს სხვადასხვა სახის თერაპიას და რიგ შემთხვევაში მედიკამენტოზურ მკურნალობასაც.

საერთაშორისო ორგანიზაცია

უცხოეთში არსებობს ორგანიზაცია: თამაშების საერთაშორისო მარეგულირებელი ასოციაცია (IAGR-International Association of Gaming Regulators), რომელიც ფოკუსირებულია იმაზე,რომ უზრუნველყოს საუკეთესო სათამაშო და აზარტული თამაშების რეგულირებაზე ორიენტირებული საკონსულტაციო და ქსელური სერვისები გლობალურად. ორგანიზაციაში აღნიშნავენ,რომ მათი მოვალეობაა დაეხმარონ და მისცენ შესამაბისი მითითებები იმ ადამიანებს,რომლებსაც პრობლემები აქვთ აზარტული თამაშების კონტროლთან დაკავშირებით. ისინი ასევე აღნიშნავენ, რომ ნებისმიერ შემთხვევაში შეძლებენ რეაგირების მოხდენას მაშინაც კი, როდესაც საქმე სუიციდურ აზრებს უკავშირდება (https://iagr.org/).

ამერიკის შეერთებული შტატების პრაქტიკა

კვლავ რომ მივუდგეთ ამერიკის პრობლემური სათამაშო ქცევის ეროვნული საბჭოს. ეს ორგანიზაცია ემსახურება საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლებას და ასევე უზრუნველყოფს მსგავსი პრობლემის მქონე ადამიანებს რესურსებით, რომელიც ემსახურება დამოკიდებულების განვითარების, როგორც პრევენციას ისე მის დაძლევასაც უკვე არსებობის შემთხვევაში. მართალია ეს ორგანიზაცია არ წარმოადგენს უშუალოდ ამერიკის მთავრობის ნაწილს, მაგრამ იგი მჭიდროდ თანამშრომლობს მასთან რათა აღმოიფხვრას აზარტულ თამაშებთან დაკავშირებული პრობლემები ქვეყანაში.

ცხელი ხაზი

ამერიკაში ასევე ფუნქციონირებს ეროვნული დახმარების ცხელი ხაზი. ეროვნული დახმარების ხაზი: „ნივთიერების ბოროტად გამოყენების და ფსიქიკური ჯანმრთელობის მომსახურების ადმინისტრაცია“ (Substance Abuse and Mental Health Services Administration-SAMHSA), აშშ-ს ჯანმრთელობისა და ადამიანის მომსახურების, ერთ-ერთი განშტოება სადაც მოქმედებს ეროვნული ცხელი ხაზი (1-800-662-HELP), რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის მიწოდებას და ექიმთან კონსულტაციას რათა პაციენტებმა ერთად

იბრძოლონ აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულების წინააღმდეგ. ისინი მოქალაქებს სთავაზობს კონფიდენციალურ, 24/7 დახმარებას და შეუძლიათ დამრეკველების დაკავშირება ადგილობრივ სამკურნალო რესურსებთან.(https://www.samhsa.gov)

სახელმწიფო მხარდაჭერილი მკურნალობის პროგრამები

აშშ-ს ბევრმა შტატმა გამოყო ფონდები და პროგრამები აზარტული თამაშების დამოკიდებულების მკურნალობისა და პრევენციის მხარდასაჭერად. ეს პროგრამები გთავაზობთ კონსულტაციას, თერაპიას, მხარდამჭერ ჯგუფებს და დახმარების სხვა ფორმებს იმ პირებისთვის, რომლებიც დახმარებას ითხოვენ. ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეებს სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული სპეციფიკური რესურსებით სარგებლობა და დათვალიერება შეუძლიათ იხილონ NCPG-ის ვებ-გვერდზე ან დაუკავშირდნენ ადგილობრივ სამთავრობო უწყებებს, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან მსგავსი დამოკიდებულების დასაძლევად გასაწევ მომსახურებაზე.

თვითგამოკლების პროგრამები

ზოგიერთმა შტატმა განახორციელა თვითგამოკლების პროგრამები, რომლებიც საშუალებას აძლევენ პირებს ნებაყოფლობით გამორიცხონ თავი აზარტულ თამაშებში მონაწილეობისგან, როგორიცაა კაზინოებში შესვლა ან ონლაინ აზარტული თამაშების პლატფორმების მოხმარება. ეს პროგრამები მიზნად ისახავს უზრუნველყონ პირები თვითკონტროლისათვის საჭირო მექნაიზმებით და ინსტრუმენტებით, რომ უკეთ აკონტროლონ მოქალაქეებმა საკუთარი იმპულსური ქცევები, რომლებიც შესაძლოა მათ განუვითარდეთ აზარტულ თამაშებთან მიმართებაში.

რეგულაციები და პასუხისმგებელიიანი თამაშის ზომები

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა, როგორც ფედერალურ/ადგილობრივ, ისე სახელმწიფო დონეზე, არეგულირებს სათამაშო ინდუსტრიას, რათა უზრუნველყოს სამართლიანი და საპასუხისმგებლო პრაქტიკები. ზომები შეიძლება მოიცავდეს

ასაკობრივი შეზღუდვების აღსრულებას, პასუხისმგებლიანი აზარტული თამაშების პრაქტიკის ხელშეწყობას, ოპერატორებისგან თვითგამოკლების ვარიანტების შეთავაზებას და მოთამაშეების დაცვის მექანიზმების დანერგვას.

იტალია

მსგავსი მიდგომა არის იტალიაშიც,სადაც ეს საკითხი ეროვნული ჯანდაცვის სისტემის პასუხისმგებლობას წარმოადგენს. სახელმწიფო სტრუქტურა“ (Servizio Sanitario Nazionale-SSN) მოქალაქეებს სთავაზობს სპეციალურ მომსახურებას აზარტული თამაშების დამოკიდებულების პრევენციის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობისთვის. ეს სერვისები ხელმისაწვდომია საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრებისა და კლინიკების მეშვეობით მთელი ქვეყნის მასშტაბით.

(https://www.salute.gov.it/portale/lea/dettaglioContenutiLea.jsp?area=Lea&id=5073&lingua=italiano&menu=vuoto)

იტალიის ცხელი ხაზი

იტალიაში ასევე მოქმედებს ეროვნული დახმარების ხაზი-სახელწოდებით "Gioca Responsabile" (ითამაშე პასუხისმგებლობით), რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციას, მხარდაჭერას და ექიმთან უშუალო კომუნიკაციას/კონსულტაციას იმ პირთათვის, რომლებიც ებრძვიან და სურთ დაძლიონ ეს მდგომარეობა. ცხელი ხაზი ხელმისაწვდომია 24/7-ზე და საკონტაქტო ნომერი არის 800 921 121.

(http://www.gaminghall.eu/vlt-2/)

პასუხისმგებელობით თამაშის პროგრამები

იტალიის მთავრობამ განახორციელა პასუხისმგებლიანი თამაშის პროგრამები, რათა ხელი შეუწყოს უსაფრთხო თამაშის პრაქტიკის დანერგვას, რაც მოქალაქეებს აარიდებს თამაშზე დამოკიდებულების გამო გამოწვეულ უარყოფით შედეგებს. ეს პროგრამები ფოკუსირებულია საზოგადოების განათლებაზე პასუხისმგებლიანი აზარტული თამაშების ქცევის შესახებ, თვითგამოკლების ინსტრუმენტების უზრუნველყოფაზე და ცნობიერების ამაღლებაზე აზარტული თამაშების „ზედოზირების“ რისკების შესახებ.

Agenzia delle Dogane e dei Monopoli-სააგენტო

Agenzia delle Dogane e dei Monopoli (ADM)“საბაჟო და მონოპოლიების მმართველი სააგენტო“: ADM არის მარეგულირებელი ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია იტალიის სათამაშო ინდუსტრიის ზედამხედველობასა და რეგულირებაზე. იგი ახორციელებს პასუხისმგებლიან აზარტულ თამაშებთან დაკავშირებულ რეგულაციებს, უზრუნველყოფს სამართლიან თამაშს და აკონტროლებს ოპერატორების ქმედებების შესაბამისობას მოთამაშის დაცვის ზომებთან. სააგენტო აკონტროლებს აზარტული თამაშების მრავალ სახეობას და ამ სფეროსთან დაკავშირებულ ბევრ დეტალს: თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლა და კონტროლი გასართობი აღჭურვილობა(ეგრეთ წოდებული აპარატები) ბინგო; ცხენების დოღზე ფსონების კონტროლი; სპორტული თამაშები; ლატარეა ონლაინ თამაში; მომგებიანი ბარათების გაცემა ფიქსირებული შანსებით თამაშები უნარი, ბარათები, შანსი ფიქსირებული შანსებით ლატარიები ქვითრის ლატარია ფილანთროპიული ლატარიები, აზარტულ თამაშებთან დაკავშირებული კანონმდებლობის მონიტორინგი და პრაქტიკა, გადახდების მართვა გამარჯვების ალბათობების შანსები და მონაცემების კონტროლი; სათამაშო ოპერატორებთან ურთიერთობა მონაცემთა გადაცემის და კონსულტაციის მომსახურება და ა.შ. (https://www.adm.gov.it/portale/giochi)

ჯანდაცვის სისტემების ჩართულობა იტალიაში

იტალიაში ფუნქციონირებს სპეციალიზებული სამკურნალო ცენტრები და დამხმარე ჯგუფები, რომლებიც მოქალაქეებს უზრუნველყოფენ კონსულტაციით, თერაპიის

კურსებითა და ასევე სთავაზობენ სარეაბილიტაციო მომსახურებას აზარტული თამაშების დამოკიდებულების მქონე პირებს. ეს ცენტრები ხშირად დაკავშირებულია საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაწესებულებებთან ან არასამთავრობო ორგანიზაციებთან და მოიცავს, როგორც სტაციონარულ, ასევე ამბულატორიულ პროგრამებს.

რუსეთი

ამერიკის და ევროპის ქვეყნების გარდა აზარტულ თამაშებთან დაკავშირებით თავისი პოლიტიკა აქვს რუსეთსაც, ეს პირველ რიგში მოიცავს ფედერალურ კანონს, რომელიც მკაცრ რეგულაციებს უწესებს სათამაშო ბიზნესს 2009 წლიდან როდესაც მთავრობამ ეს კანონმდებლობა მიიღო. იგი მნიშვნელოვნად ზღუდავდა იმ ადგილებს, სადაც სათამაშო დაწესებულებები ფუნქციონირებს. კანონის მიზანი იყო აზარტული თამაშების ხელმისაწვდომობისა და გავრცელების შემცირება, აზარტულ თამაშებთან დაკავშირებული საკითხების შემსუბუქების მიზნით. (https://archive.minfin.gov.ru/en/?fbclid=IwAR0vpjv7XEJb_fO-la1OmOdWUWYZB5UqP1K3ZNJlcX5W2Qu4Zxwvd9Wk_Cs)

ცხელი ხაზი

ეროვნული პრობლემა აზარტული თამაშების დახმარების ხაზი: რუსეთის ფინანსთა სამინისტროში მოქმედებს ეროვნული დახმარების ცხელი ხაზი სახელწოდებით "8-800-200-00-69."ეს დახმარების ხაზი მოქალაქეებს აწვდის ინფორმაციას, მხარდაჭერას და მიმართვას იმ პირებს, რომლებიც აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას ებრძვიან. ის დახმარებას და მითითებებს სთავაზობს განკურნების მსურველებს, მათ შორის ინფორმაციას მკურნალობის ხელმისაწვდომი ვარიანტების შესახებ.

სახელმწიფო მხარდაჭერილი მკურნალობის ცენტრები

რუსეთის მთავრობა მხარს უჭერს მკურნალობის ცენტრებსა და კლინიკებს, რომლებიც სპეციალიზირებულნი არიან ზოგადად სხვადასხვა ტიპის დამოკიდებულების მკურნალობაში, მათ შორის აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებაში. მკურნალობის

ცენტრები მოქალაქეებს სთავაზობს, როგორც სტაციონარულ, ასევე ამბულატორიულ პროგრამებს აზარტული თამაშების დამოკიდებულების მქონე პირების სპეციფიკური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების კამპანიები

მთავრობა, სხვადასხვა სააგენტოებისა და ორგანიზაციების მეშვეობით, ატარებს საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კამპანიებს, რათა საზოგადოებას გააცნოს აზარტული თამაშების დამოკიდებულების რისკები და შედეგები. ეს კამპანიები მიზნად ისახავს ცნობიერების ამაღლებას, პასუხისმგებლიანი აზარტული თამაშების ქცევის ხელშეწყობას და საჭიროების შემთხვევაში ადამიანების დახმარების მოძიებას.

სათამაშო ოპერატორთა პასუხისმგებლობა: რუსეთის კანონმდებლობა აკისრებს პასუხისმგებლობას ქვეყანაში არსებულ სათამაშო ოპერატორებს განახორციელოს ზომები, რაც უზრუნველყოფს „პასუხისმგებლიანი თამაშის“(„Responsible Gambling”) პრინციპის დაცვას. ეს მოიცავს მოთამაშეების ინდივიდუალურად „სისტემიდან გამოთიშვის“ შესაძლებლობას.

აზარტული თამაშების დამოკიდებულებასთან დაკავშირებული რისკები და გამოწვევები

საინტერესოა რა ხდება ახალგაზრდების შემთხვევაში, რადგან ჩვენი საკვლევი თემა სწორედ ამას ეხება. გასათვალისწინებელია ის რომ მითუმეტეს სტუდენტი მარტივად არ აღიარებს იმას რომ მას „პრობლემები“ აქვს. შესაბამისად უნდა გავიგოთ, თუ როგორი მიდგომა არის უშუალოდ სტუდენტების და ახალგაზრდების შემთხვევაში, რადგან შემდეგ ეს პრაქტიკა გავაცნოთ ჩვენს მოსახლეობას და დაინერგოს სხვადასხვა სახის მეთოდოლოგია და პრაქტიკა საქართველოში. ეს კი გამოწვეული იმით რომ დღესდღეობით ნაკლებადაა ცნობილი ის ხერხები, რასაც საქართველოში მიმართავენ. მსგავსი

ორგანიზაციების არ არსებობა უფრო მძაფრს ხდის პრობლემას რადგან, ფაქტობრივად არ არსებობს არანაირი ფსიქოლოგიური მიდგომა, რომ ადამიანმა ამ პრობლემაზე გულახდილად ისაუბროს. ეს შეიძლება იყოს მიზეზი იმისა, რომ ხშირად ამ ფსიქოლოგიური დარღვევის შესახებ მათმა სანაცნობო წრემაც არ იციან. მსგავსი ორგანიზაციების არ არსებობამ ლუდომანს შეიძლება ჩამოუყალიბოს უიმედობის განცდა და შეექმნას ილუზია,რომ ამ მავნე ჩვევას თავს ვერ დააღწევს,ამიტომ აგრძელებს თამაშს და არა მხოლოდ საკუთარ თავს არამედ მის გარშემო მყოფებსაც უქმნის მძიმე ვითარებას. 2019 წელს ჩატარებული კვლევის „აზარტული თამაშები და მისი კლინიკური კორელაციები უნივერსიტეტის სტუდენტებში“ (Gambling and its clinical correlates in university students- 2019 j.grunt k lust) შედეგების მიხედვით რომელის მიზანი იყო აზარტული ქცევის მომრავლებას მიზეზების დადგენა ახალგაზრდებში აღმოჩნდა რომ აზარტული ქცევის ჩამოყალიბება და სიმპტომატიკის მატების გარკვეული დონე ასოცირდებოდა ალკოჰოლთან და ნარკოტიკების მოხმარებასთან, ასევე იმპულსურ და კომპულსიურ ქცევებთან.
(https://europepmc.org/backend/ptpmcrender.fcgi?accid=PMC5955216&blobtype=pdf)

ლუდომანები ხშირად ვერ აიძულებენ საკუთარ თავს, რომ ამ პრობლემას მარტო გაუმკლავდნენ და ძალიან ცოტა ადამიანი არსებობს, რომელიც საკუთარი ძალისხმევით გამოვიდა ამ მდგომარეობიდან. შემდეგ კი გამოსავალს სამწუხაროდ სუიციდში ხედავენ.

აზარტული თამაშების დამოკიდებულება და სუიციდი: დამთხვევა თუ პირდაპირი კავშირი?

როგორც უკვე აღვნიშნეთ ხდება ისეთი შემთხვევებიც და არც თუ ისე იშვიათად, როდესაც აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულების დაუღწევლობის გამო ადამიანთა გარკვეული კატეგორია სუიციდში ხედვას გამოსავალს,თუ ჩვენ უცხოურ სტატისტიკას გადავხედავთ შემდეგ სურათს დავინახავთ: თვითმკვლელობა მათ შორის ვინც პრობლემურ დონეზე თამაშობს საგრძნობლად მაღალია ვიდრე ზოგადად მთლიან პოპულაციაში. მაგალითად შვედეთში აზარტული თამაშების დიაგნოზირებული აშლილობის მქონე პირებს

აღენიშნებოდათ სიკვდილიანობის 1,8 ჯერ ზრდა და თვითმკვლელობის სიკვდილიანობის 15 ჯერ ზრდა საერთო პოპულიაციასთან შედარებით (25). სხვა შვედეთის პოპულაციაზე დაფუძნებული კვლევის საფუძველზე, სუიციდის მცდელობა ორჯერ უფრო ხშირი იყო მათ შორის, ვინც სისტემატიურად თამაშობს აზარტულ თამაშებს (6,6%), სუიციდური აზრები თითქმის ორჯერ უფრო ხშირი მათ შორის, ვინც რეგულარულად თამაშობს (21,2%) . დიდი ბრიტანეთის მოსახლეობის კვლევაში, სისტემატიური აზარტული მოთამაშეების 19,2 %ფიქრობდა თვითმკვლელობაზე გასულ წელს, იმ 4,1 % შედარებით, ვისაც არ ჰქონდა პრობლემატური აზარტული თამაშების ნიშნები (https://www.frontiersin.org/articles/10.3389/fpsyt.2022.980303/full%C2%A0) დამეთანხმებით,რომ აზარტულ თამაშებზე დამოკიდებული ადამიანები საკმაოდ სუსტი ფსიქიკის მქონე ინდივიდები არიან, ისინი იმდენად დიდ სტრესს განიცდიან აზარტული თამაშების გამო, რომ გამოსავალს სწორედ სუიციდში ხედავენ. რაც შეეხება საქართველოს მაგალითს სამწუხაროდ ოფიციალური კვლევა არ არსებობს უშუალოდ იმ საკითხთან დაკავშირებით, თუ რამდენი ადამიანი ასრულებს სიცოცხლეს თვითმკვლელობით აზარტული თამაშების გამო, თუმცა არსებობს მრავალი ცალკეული მაგალითი, რომელზე საუბარიც შეიძლება. მაგალითად, ახალგაზრდა მამაკაცის გვამი თბილისის ზღვის ტერიტორიაზე იპოვეს, რა თქმა უნდა მრავალი ვარაუდი გავრცელდა იმის, თუ რატომ მივიდა ის ამ გადაწყვეტილებამდე, თუმცა ყველანაირი ვარაუდი ერთმა წერილმა გააქარწყლა. მამაკაცმა თვითმკვლელობამდე წერილი დატოვა სადაც გარკვევით წერია,რომ ეს ყველაფერი აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებამ გადააწყვეტინა. მამაკაცი აღნიშნავს იმასაც, რომ მისი აზრით ეს სერიოზული დაავადებაა. „მე თავი ფულის გამო არ მომიკლავს, ავადმყოფობის გამო მოვიკალი“ წერს გარდაცვლილი.

კვლევაში-„აზარტულ თამაშებთან დაკავშირებული თვითმკვლელობები და თვითმკვლელობებისადმი მიდრეკილება: ხარისხობრივი მტკიცებულებების სისტემატური მიმოხილვა“(„Gambling-related suicides and suicidality: A systematic review of qualitative evidence“) ავტორები ვვრე მარინეაუ და იენ ნიკინენი. ხაზგასმულია ის რომ კვლევის შედეგების მიმოხილვის საფუძველზე აზარტულ თამაშებში ჩართულობას ე.წ

„გემბლინგს“ მნიშვნელოვანი კონტრიბუცია და კავშირი აქვს სუიციდთან მიმართებით და ეს ძირითადად განპირობებულია ფინანსური დავალიანების, ვალის დიდი რაოდენობით არსებობასთან და ასევე სირცხვილის გრძნობასთან, ამ ორ მოვლენას შორის კავშირს სხვა ფაქტორებიც ადასტურებს.
(https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC9645554/pdf/fpsyt-13-980303.pdf

შესაძლო კავშირის მიზეზების განხილვა

1. თანმდევობა- კვლევები მუდმივად აჩვენებს, რომ აზარტული თამაშების დამოკიდებულების მქონე პირებს აქვთ სუიციდური ქცევის უფრო მაღალი რისკი, ვიდრე ზოგად მოსახლეობას. კვლევებმა აღმოაჩინა თვითმკვლელობის იდეების, თვითმკვლელობის მცდელობების და უშუალოდ განხორციელებული თვითმკვლელობების უფრო მაღალი მაჩვენებელი მათ შორის, ვისაც აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება აღენიშნება და ებრძვის მას

2. თანხმლები დაავადება: აზარტული თამაშების დამოკიდებულება ხშირად ხდება ფსიქიკური ჯანმრთელობის სხვა დარღვევებთან ერთად, როგორიცაა დეპრესია, შფოთვა და ნარკოტიკების მოხმარების შედეგად გამოწვეული სხვა გვერდითი მოვლენები ან დაავადებები. ამ თანმხლები დაავადებების არსებობამ შეიძლება კიდევ უფრო გაზარდოს სუიციდური აზრებისა და ქცევის რისკი.

3. ფინანსური დანაკარგები და სასოწარკვეთილება: აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებამ შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ფინანსური პრობლემები, რამაც შეიძლება ხელი შეუწყოს სასოწარკვეთილების და უიმედობისა გრძნობის გაჩენას. ფინანსურ დანაკარგებთან დაკავშირებულმა სტრესმა და აქედან გამომდინარე დამდგარმა უარყოფითმა შედეგებმა შეიძლება გაზარდოს სუიციდური იდეისა და ქმედებების რისკი.

4. ფსიქიატრიული დისტრესი: აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებამ შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ემოციური და ფსიქოლოგიური დისტრესი, მათ შორის

დანაშაულის გრძნობა, სირცხვილი და იზოლაცია. ფსიქოლოგიურმა დაძაბულობამ, რომელსაც განიცდიან აზარტული თამაშების დამოკიდებულების მქონე პირები, შეიძლება გაამწვავოს არსებული ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები და ხელი შეუწყოს სუიციდური აზრების ფორმირებას. ამაზე ხაზი

5. გამაფრთხილებელი ნიშნები: მნიშვნელოვანია იცოდეთ გამაფრთხილებელი ნიშნები, რომლებიც შეიძლება მიუთითებდეს თვითმკვლელობის გაზრდილ რისკზე იმ პირებში, რომლებიც ებრძვიან აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას. ეს ნიშნები შეიძლება მოიცავდეს უიმედობის გამოხატვას, თვითმკვლელობაზე საუბარს, სოციალური საქმიანობიდან და ზოგადი აქტიურობის შეწყვეტას განწყობის ან ქცევის უეცარ ცვლილებებს, ქონების გაჩუქებას და ა.შ

სწორედ ამიტომ ვფიქრობთ,რომ ორგანიზაციების არ არსებობა უფრო ამძაფრებს საკითხს. პრობლემის მასშტაბურობას ადასტურებს 2018 წლის სტატისტიკა რომლის მიხედვითაც საქართველოში ყოველი მეექვსე ადამიანი (17%) ყოველდღიურად არის დაკავებული აზარტული თამაშებით,შესაბამისად ვფიქრობთ,რომ ორგანიზაციების არ არსებობა დანაშაულის ტოლფასია.

აზარტული თამაშების სარეკლამო პოლტიკა: მარკეტინგული ხრიკები თუ ფსიქოლოგიური ზეწოლა

აზარტული თამაშების მავნე ზეგავლენასთან დაკავშირებით აუცილებლად უნდა ვახსენოთ ამ სფეროს რეკლამირების საკითხიც, რაც, თავის მხრივ, აღნიშნულიც არის მთავრობის მიერ გატარებულ რეგულაციებში, სადაც ხაზი გაესვა რეკლამის როლს აზარტული თამაშების პოპულარიზაციაში. რეკლამის აკრძალვა მოხდა სატელევიზიო სივრცეში,თუმცა ინტერნეტ სივრცეში მხოლოდ შეიზღუდა, რაც ვფიქრობთ არასწორი

ნაბიჯია, რადგან არასრულწლოვანთა და სტუდენტთა უმეტესობა ინტერნეტს უფრო ხშირად მოიხმარს ვიდრე ტელევიზიას.

სტუდენტების ჩართულობას ადასტურებს ის ფაქტიც,რომ ერთ-ერთი რეგულაციის ძალაში შესვლისთანავე,რომელიც მოიაზრებდა ონლაინ კაზინოების საიტებზე ყველა იმ ანგარიში ე.წ „ექაუნთის“ გაუქმებას რომლითაც 25 წლამდე ასაკის პირები იყვნენ დარეგისტრირებული მთლიანობაში დაახლოებით მილიონამდე ანგარიში გაუქმდა, რაც საფუძვლიანად გვაფიქრებინებს, რომ ამ რიცხვში საკმაოდ ბევრი სტუდენტი შედის.

ჰოვარდ ბეკერის თეორია

ჰოვარდ ბეკერის ნაშრომი „უცხოები: კვლევები დევიაციის სოციოლოგიაში“(1963 გვ 1-21) უზრუნველყოფს ღირებულ შეხედულებებს დევიაციის სოციალური კონსტრუქციისა და ეტიკეტირების პროცესის შესახებ, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას იმის გასაგებად, თუ როგორ აღიქვამენ აზარტულ თამაშებზე დამოკიდებული პირები სოციალურ კონტროლს და მის ეფექტებს. იმის მიუხედავად,რომ ჰოვარდ ბეკერის ნაშრომი არ ეხება უშუალოდ აზარტულ თამაშებს მაინც შესაძლებელია ამ თეორიის დაკავშირება აზარტულ თამაშებთან. ჩვენ შეგვიძლია ვიხელმძღვანელოთ ბეკერის რამოდენიმე იდეით, რომელიც დაგვეხმარება აზარტულ თამაშებზე დამოკიდებული ადამიანების პრობლემის გარკვევაში. პირველ რიგში განვიხილოთ დევიანსის სოციალური კონსტრუქცია, რომელიც წარმოიქმნება ურთიერთქმედების შედეგად. ეს პროცესი მიმდინარეობს მათ შორის, ვინც გარკვეულ ქცევაში მონაწილეობს და ვინც ამ ქცევებს დევიანტად /დევიაციად აფასებს. აზარტული თამაშების ჭრილში განხილვისას შეგვიძლია წარმოვიდგინოთ,რომ აზარტული თამაშების გარკვეული პირები გარკვეული ფორმებით გამოხატავენ ზედმეტ აზარტულ ქცევას, რაც შეიძლება ჩაითვალოს დევიანტად მთლიანი საზოგადოების ან გარკვეული ჯგუფის მხრიდან.

რა არის დევიაცია? დევიაცია არის ნებისმიერი ქმედება, რომელიც არღვევს საზოგადოების ფართოდ გაზიარებულ ზნეობრივ ღირებულებებს და ნორმებს. ბეკერი განიხილავს, თუ როგორ შეიძლება საზოგადოების რეაქციამ დევიანტური ქცევის მიმართ გამოიწვიოს დევიაციის გამაძლიერებელი სპირალის პროცესი. აღსანიშნავია, რომ ეს პროცესი ხდება მაშინ, როდესაც ინდივიდებზე არის დაწესებული უარყოფითი ეტიკეტები და სანქციები რაც იწვევს დევიანტურ ქცევას და მის გახანგრძლივებას. აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულების შემთხვევაში სტიგმატიზაციამ და მარგინალიზაციამ, რომელსაც ის პირები და სტუდენტები განიცდიან, რომლებსაც საზოგადოება მსგავსად მოიხსენიებს შეიძლება ხელი შეუწყოს საზოგადოებისგან გამორიცხვის და გარიყვის შეგრძნებას და გაამწვაოს მათი აზარტული თამაშების ქცევა, როგორც გამკლავების მექანიზმი. ჩვენს მიერ ჩატარებულ სიღრმისეულ ინტერვიუშიც გამოჩნდა,რომ აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულ ადამიანებს აქვთ მძიმე ფსიქიკური მდგომარეობა, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ სჭირდებათ ადეკვატური მოპყრობა. ბევრი მათგანი აღნიშნავდა ინტერვიუს მსვლელობისას,რომ საზოგადოების აზრის და „მოთამაშის“ იარლიყის გამო დიდი ხნის მანძილზე მალავდნენ თავიანთ პრობლემას, რის შედეგადაც მას თავს ვერ ანებებდნენ და უფრო უმძაფრდებოდათ თამაშის სურვილი. ჰოვარდ ბეკერი ასევე განიხილავს სოციალური კონტროლის მექანიზმს რაც მოიცავს საზოგადოების მიერ გამოყენებულ სხვადასხვა სოციალური კონტროლის მექანიზმებს რომელიც გამოყენებული იქნება დევიაციური ქცევის კონტროლისთვის. თუ ამ თეორიას განვიხილავთ აზარტული თამაშების ჭრილში სოციალური კონტროლის მექანიზმი შეიძლება მოიცავდეს ინტერვენციებს, მკურნალობის პროგრამებს და პოლიტიკას, რომელიც მიზნად ისახავს აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულების უარყოფითი შედეგების თავიდან აცილებას ან მათი გავლენის შემსუბუქებას. ონლაინ გამოკითხვის ჭრილშიც და პირისპირი ინტერვიუს მიმდინარეობისას ნათლად გამოჩნდა საზოგადოების თუ უშუალოდ აზარტულ თამაშებზე დამოკიდებული ადამიანების აზრი,რომლებიც გადაჭრით ამბობენ,რომ უნდა გადაიდგას მკაცრი ნაბიჯები აზარტული თამაშების ლეგალურობასთან დაკავშირებით და უნდა

არსებობდეს შესაბამისი ეფექტური ორგანიზაცია,რომლებიც აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულ ადამიანებს გარკვეულ იმედს მისცემს.

ემპირიული კვლევის ეტაპები და შედეგები

ონლაინ გამოკითხვა

არსებულ პარაგრაფში განხილულია ონლაინ ანკეტის შედეგად მიღებული მონაცემები.ონლაინ ანკეტის მეშვეობით სულ გამოიკითხა 200 სტუდენტი. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს,რომ 67.5% არის მდედრობითი სქესის წარმომადგენელი ხოლო 32.5% მამრობითი (იხ დანართი 1). ჩვენი მიზანი იყო არ გვქონოდა ინფორმაცია მხოლოდ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან დაკავშირებით ამიტომ კვლევაში მონაწილეობა მიიღეს სხვა უნივერსიტეტის სტუდენტებმაც . შემდგომ ჩვენთვის საინტერესო იყო გაგვეგო,თუ სტუდენტების რა ნაწილი თამაშობს აზარტულ თამაშებს. კვლევის შედეგად კი მივიღეთ მონაცემები,რომლის მიხედვითაც სტუდენტების 49% უთამაშია აზარტული თამაშები, რაც დამეთანხმებით, არც თუ ისე დაბალი მაჩვენებელია. აქედან გამომდინარე, გადავწყვიტეთ რესპონდენტებისთვის დაგვესვა კითხვა, რომელიც მოგვცემდა საშუალებას გაგვეგო, თუ რა უბიძგებთ სტუდენტებს აზარტული თამაშებისკენ. სტუდენტების 35% აღნიშმნავს,რომ აზარტული თამაშებისკენ უბიძგა არასაკმარისმა შემოსავალმა,რომელიც მათ ყოველთვიურად არ ჰყოფნიდათ. 30.5% ამბობს,რომ მათთვის

აზარტული თამაშები მხოლოდ გართობის საშუალებას წარმოადგენს. 20.5% სამეგობროს გავლენის ქვეშ მოექცა ,ხოლო 9.5% ვერ ხედავს საკუთარი პროფესიით განვითარების საშუალებას. მონაცემებიდან გამომდინარე ჩნდება კითხვა. სტუდენტების მხრიდან აზარტული თამაშების მიმართ ინტერესს განაპირობებს, თუ არა არასაკმარისი შემოსავალი. როგორც წესი, სტუდენტების უმეტესობას არ ეძლევა საშუალება იმუშაოს და რეალიზდეს იმ გარემოში,რომელ პროფესიასაც იგი ეუფლება, ამიტომ ხშირად მათ უწევთ მაღაზიათა ქსელში, შოპინგ მოლში, კვების ობიექტებში მუშაობა, რაც თავის მხრივ ნიშნავს არასაკმარის შემოსავალს. სიღრმისეული ინტერვიუს მიმდინარეობისას სწორედ ეს მიზეზი დაასახელა ერთ-ერთმა რესპონდენტმა და აღნიშნა,რომ მისი მთავარი მოტივატორი ყოველთვიური თანხის გაორმაგება იყო. ამ მონაცემებიდან ნათლად ჩანს ისიც,რომ ძალიან დიდი გავლენა აქვს ახალგაზრდებზე სოციალურ გარემოს, ამ შემთხვევაში კი სამეგობრო წრეს,რომელშიც ხშირად განიხილავენ აზარტული თამაშების „დადებით“ მხარეებს, რაც ხშირად იმ ახალგაზრდას ბიძგს აძლევს,რომელსაც არასდროს უთამაშია აზარტული თამაშები.

ჩვენი შემდეგი მიზანი იყო დაგვედგინა,თუ რა უბიძგებს მოთამაშეს იმისკენ,რომ ზიანის მიუხედავად კვლავ განაგრძოს აზარტული თამაშების მოხმარება. აქედან გამომდინარე, დავსვით კითხვა: ოდესმე მოუგიათ თუ არა იმ რაოდენობის თანხა, რომლითაც კმაყოფილების განცდა დაუფლებიათ. შედეგად კი მივიღეთ ,რომ 53.3% (იხილეთ დანართი-2 არასდროს მოუგია იმ ოდენობის თანხა,რომლითაც კმაყოფილების განცდა დაუფლებია. ჩნდება კითხვა,რატომ აგრძელებენ თამაშს,თუ ვერ იღებენ იმას რისთვისაც თამაშობენ? იწვევს თუ არა აზარტული თამაშები დამოკიდებულებას? სწორედ ამ კითხვებზე პასუხის გასაგებად დავსვით შემდეგი კითხვა,რომლის შედეგადაც დადგინდა,რომ აზარტული თამაშებისგან თავის დაღწევის პროცესში 40% უგრძვნია გაღიზიანება ან მოუსვენრობა,სწორედ ამ გაღიზიანების მოთოკვის მიზნით კვლავ დაუბრუნდნენ აზარტულ თამაშებს. როგორც კვლევიდან ჩანს, ძალიან რთულია აზარტული თამაშებისგან თავის დაღწევა მითუმეტეს მაშინ, როდესაც ამ გზაზე მარტო ხარ. როგორც ჩვენს მიერ წარმოდგენილ ნაშრომში აღვნიშნეთ, უცხოურ ქვეყნებში საკმაოდ

კარგადაა განვითარებული სხვადასხვა სერვისები, რომლებიც ემსახურებიან აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულ ადამიანებს, სტატისტიკის მიხედვითაც ჩანს,რომ ამ სერვისების საშუალებით ძალიან ბევრმა ადამიანმა დააღწია თავი აზარტულ თამაშებს. საინტერესოა, აქვთ თუ არა ინფორმაცია სტუდენტებს სერვისის შესახებ, რომელიც უზრუნველჰყოფს აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულ ადამიანებს. გამოკითხულთა 66% აღნიშნავს, რომ არ გაუგიათ არანაირი ორგანიზაციის შესახებ, რომელიც აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულ ადამიანებს უზრუნველჰყოფს. ეს ძალიან სამწუხარო შედეგია,რადგან აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება,ფინანსური პრობლემების გარდა იწვევს ფსიქოლოგიურ,მორალურ,ფინანსურ პრობლემებს,რომლისგან თავის დაღწევაც ამდენი პრობლემის მქონე ადამიანს ძალიან უჭირს, აუცილებელია არსებობდეს „ვიღაც“ ვინც იზრუნებს მასზე.

შემდეგი კითხვა, რომელიც რესპოდენტებს დავუსვით არის, თუ რა სახით შეიძლება დავეხმაროთ აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულ ადამიანებს. უმეტესობა, კონკრეტულად კი 82% აფიქსირებს,რომ მნიშვნელოვანია ფსიქოლოგიური დახმარების გაწევა, 7,5% აღნიშნავს,რომ მნიშვნელოვანია ახლობლების და ოჯახისწევრების მხარდაჭერა.(იხ. დანართი

3) ბოლო მონაცემიდან გამომდინარე გადავწყვიტეთ რესპონდენტებისგან გაგვეგო: დაუმალავთ თუ არა ახლობლებისთვის, მეგობრებისთვის და ოჯახის წევრებისთვის აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულების პრობლემა. 39.8% აღნიშნავს, რომ მათ დაუმალავთ ოჯახის წევრებისთვის ამ პრობლემის არსებობა, ხოლო 60.2% აღნიშნავს, რომ არ დაუმალავთ (იხ დანართი 4).

დამეთანხმებით,რომ ამ პრობლემის რასაც „აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება“ არ სჭირდება გაპიარება და მითუმეტეს რეკლამირება. რაც არ უნდა სამწუხარო იყოს დღევანდელი რეალობა ფაქტია,რომ ძალიან დიდი ხანია აქტიურად მიმდინარეობს აზარტული თამაშების გაპიარება: როგორც სატელევიზიო სივრცეში ასევე ინტერნეტ სივრცეში, მობილურის მოკლეტექსტური შეტყობინებების საშუალებით, უბრალოდ

ფილმის ყურებისას არსაიდან მოსული რეკლამის საშუალებით და ა.შ. ხშირად მიმართავენ ისეთ მარკეტინგულ ხრიკებს, რომელიც მარტივად ახდენს ადამიანის დაინტერესებას. ჩვენს მიერ წარმოებულ სიღრმისეულ ინტერვიუშიც ნათლად ჩანს, რომ ერთ-ერთი ფაქტორი, რომელიც იწვევს აზარტული თამაშებისადმი დაინტერესებას მატერიალური სარგებელია. აქ არ იგულისხმება მხოლოდ დიდი რაოდენობის თანხის მიღება, არამედ სხვა მატერიალური ნივთების საშუალებით მომხმარებლების მოზიდვა. რეკლამირების მიზანია, თამაშის სურვილი გაუღვივოს იმ ადამიანებსაც, რომლებიც არ ინტერესდებიან აზარტული თამაშებით როგორც გართობის საშუალებით. ჩვენი შემდეგი კითხვა ემსახურება იმის დადგენას,თუ ყველაზე ხშირად საიდან იგებენ ინფორმაციას აზარტულ თამაშებზე (შესაძლებელი იყო რამდენიმე პასუხის მონიშვნა). გამოკითხულთა 69% ინფორმაციას იღებს სოციალური მედიიდან. 47.5% მობილური ოპერატორებისგან გამოგზავნილი მოკლე ტექსტური შეტყობინებებით. 40% სატელევიზიო რეკლამების საშუალებით.39,5% სამეგობრო წრის საშუალებით. ამასთანავე საინტერესოა, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულ ადამიანებზეც მოქმედებს, თუ არა რეკლამები. მოქმედებს თუ არა მათი თამაშის ინტენსივობაზე და იწვევს თუ არა სურვილის გაღვივებას. 49% აღნიშნა,რომ აზარტული თამაშების რეკლამა გავლენას ახდენს მათ აზარტულ ქცევაზე. (იხ დანართი 5)

როგორც ვიცით, საქართველოს მთავრობამ 2022წლის 1 მარტიდან დააწესა გარკვეული რეგულაციები აზარტულ თამაშებთან დაკავშირებით,რომელშიც მოიაზრება: უნდა აიკრძალოს აზარტული თამაშები 25 წლამდე პირებისთვის, უნდა გაუქმდეს ყველა ანგარიში,რომელსაც ფლობს 25 წლამდე მიუღწეველი პირი, უნდა გაუქმდეს ყველა სატელევიზიო რეკლამა,რომელიც ემსახურება აზარტული თამაშების პოპულარიზაციას. ჩვენს მიერ წარმოებული გამოკითხვიდან ჩანს,რომ სტუდენტები ყველაზე ხშირად აზარტული თამაშების შესახებ ინფორმაციას იგებენ არა სატელევიზიო რეკლამებიდან, არამედ სოციალური მედიიდან. ცნობილი ფაქტია ისიც, რომ ახალგაზრდებისთვის ინტერესს წარმოადგენს არა სატელევიზიო სივრცე, არამედ სოციალური მედია. სიღრმისეული ინტერვიუს მიმდინარეობისას რამდენიმე რესპონდენტმაც აღნიშნა,რომ

რეგულაციაში ცვლილებებს შეიტანდნენ და მათთვის ერთ-ერთი მთავარი რასაც შეცვლიდნენ სწორედ სატელევიზიო აკრძალვის სოციალური მედიით ჩანაცვლებაა. რა თქმა უნდა აზარტულ თამაშებზე განხორციელებული ყველანაირი აკრძალვა მხოლოდ პოზიტიური კუთხით შეიძლება განვიხილოთ, მაგრამ აუცილებელია აღინიშნოს ის ფაქტორები რა ფაქტორებიც უკეთესად შეიძლება გაკეთებულიყო. გადავწყვიტეთ სტუდენტების აზრიც გაგვეგო მთავრობის მიერ შემოღებულ რეგულაციებთან დაკავშირებით, სტუდენტების 88% დადებითადაა განწყობილი ძალაში შესული აკრძალვების მიმართ ხოლო 12% უარყოფითად. (იხ. დანართი 6)

ხშირად საზოგადოება რადიკალურად უარყოფითად არის განწყობილი აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულ ადამიანებზე, ამას განაპირობებს ძირითადად ის,რომ არ აქვთ ინფორმაცია იმის შესახებ,თუ რა უარყოფით გავლენას ახდენს აზარტული თამაშები ადამიანზე. გადავწყვიტეთ კვლევაში დაგვემატებინა სხვადასხვა მოსაზრებები,რომელსაც რესპონდენტები ან უნდა დათანხმებულიყვნენ ან არა. პირველი ეს იყო „ადამიანები მის გარშემომყოფებისგან გაკიცხვის გამო უფრო ინტენსიურად ჩაერთვება აზარტულ თამაშებში“ ამ მოსაზრებას რესპონდენტთა 77% დაეთანხმა. „აზარტულ თამაშებზე დამოკიდებული ადამიანები საზოგადოებისგან გარიყვას იმსახურებენ“ ამ მოსაზრებას რესპონდენტთა უმრავლესობა 87% არ დაეთანხმა. „აზარტულ თამაშებზე დამოკიდებული ადამიანი სუსტი ნებისყოფის მქონეა“ ამ მოსაზრებას უმრავლესობა 79% დაეთანხმა.

როგორც ჩვენს მიერ წარმოებულ ონლაინ გამოკითხვაში ჩანს, სტუდენტების მიერ აზარტულ თამაშებში ჩართულობას მეტწილად განაპირობებს მათი სოციალური გარემო. სოციალური გარემოა ის, რის გამოც სტუდენტები იძულებულნი ხდებიან მიმართონ აზარტულ თამაშებს. ამაში არ იგულისხმება მხოლოდ ფინანსური სარგებელი, არამედ იგულისხმება გარემო, რომელშიც სტუდენტებს უწევთ ცხოვრება. ამ კვლევამ ნათლად აჩვენა ისიც,რომ სტუდენტები ფლობენ ინფორმაციას აზარტული თამაშების უარყოფითი მხარეების შესახებ და იაზრებენ იმასაც, თუ რამხელა პრობლემის შექმნა შეუძლია აზარტულ თამაშს ადამიანისთვის.

სიღრმისეული ინტერვიუ

ამ პარაგრაფში საუბარია სიღრმისეული ინტერევიუებიდან მიღებულ შედეგებზე. სიღრმისეული ინტერევიუს საშუალებით უფრო მკაფიოდ დავინახეთ აზარტული თამაშები, როგორც ძალიან დიდი საფრთხე ახალგაზრდებისთვის. თავიდან უნდა აღინიშნოს,რომ სულ ჩატარდა 10 სიღრმისეული ინტერვიუ,რომელთაგან 6 რესპოდენტი იყო კაცი,ხოლო 4 ქალი. მათგან, 4 სისტემატიურად თამაშობს აზარტულ თამაშებს, 3 არც ისე ხშირად, 1 თამაშობდა,მაგრამ ამ ეტაპზე აღარ თამაშობს, 2 რესპოდენტი არ იყო ჩართული აზარტულ თამაშებში, მაგრამ ოჯახის წევრების ზეგავლენიდან გამომდინარე ჩაერთო აზარტულ თამაშებში. აღსანიშნავია,რომ რესპოდენტების უმეტესობა და შეიძლება ითქვას, რომ ყველა უარყოფითად არის აზარტული თამაშების მიმართ განწყობილი და ამბობენ, რომ აზარტული თამაშები დიდ საფრთხეს წარმოადგენს ახალგაზრდებისთვის. ინტერვიუები ნათელს ჰფენს იმ სახის ინფორმაციას, რომელიც სტუდენტებს აქვთ აზარტული თამაშების შესახებ და იმ ფაქტორებს, რომლებიც ხელს უწყობენ მათ ჩართულობას ამ სფეროში. აშკარაა, რომ ფინანსური ფაქტორი და საკუთარი ეკონომიკური მდგომარეობის გარკვეული სახით გაუმჯობესება მნიშვნელოვან როლს ასრულებს იმაში, რომ სტუდენტების აზარტულ თამაშებში აქტიურად ჩაერთვნენ: ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ ფინანსური მოგების პოტენციალმა მიიზიდა და განაცხადა: „როდესაც 19 წლის ვიყავი, დავიწყე თამაშით დაინტერესება,ეს უბრალო ინტერესი გადავიდა იმ მოტივში რო რეალურდ შემეძლო ფინანსურად მომგებიან პოზიციაში ვყოფილიყავი და საბოლოოდ ჩვევად ჩამომიყალიბდა“ ეს იმაზე მეტყველებს, რომ სტუდენტები აზარტულ თამაშებს აღიქვამენ, როგორც ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების საშუალებას. უფრო მეტიც, თანატოლებისა და სოციალური ქსელების გავლენა აშკარაა. მეგობრები იდენტიფიცირებულნი არიან, როგორც ძირითადი აქტორები რომლებიც სწორად ინტერვიუებში მონაწილე რესპონდენტების აზარტულ თამაშებში

ჩართულობას განაპირობებდა ადრეც დაასაწყისში და ახლაც. ამ პოზიციას რესპონდენტების უმრავლებო აფიქსირებს ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა:" 15 წლის ასაკში დავინტერესდი პირველად აზარტული თამაშებით. ამის შესახებ სამეგობროდან გავიგე რადგან ბევრი ჩემი მეგობარი იყო ამით დაკავებული. ფეხბურთი მიყვარდა ბავშვობიდან და ვიფიქრე მივბაძავ ჩემს მეგობრებს, რატომაც არა, და დამატებით თანხასაც გამოვიმუშავებთქო.", ხოლო კიდევ ერთმა განაცხადა: აზარტული თამაშებით პირველად 17 წლის ასაკში, ჩემი მეგობრის იდეით დავინტერესდი. მისგან გავიგე, რომ თავისუფალ დროს ხშირად იყენებდა აზარტულ თამაშებს დროის გაყვანის მიზნით რის შედეგადაც მცირე თანხასაც გამოიმუშავებდა. ამან ჩემშიც აღძრა ინტერესი, თანაც მარტივი ფულის იდეამ მიმიზიდა, ამიტომაც გადავწყვიტე მეც მეცადა." ეს ხაზს უსვამს სოციალური ურთიერთობების როლს სტუდენტების აზარტულ თამაშებში ჩართულობის ჩამოყალიბებაში.ინტერვიუები იძლევა ახალგაზრდებში აზარტული თამაშების დამოკიდებულების სერიოზულობის შესახებ ინფორმაციასაც . ერთ-ერთმა რესპონდენტმა აზარტული თამაშები ჩვევად შეაფასა, რამაც მნიშვნელოვანი ვალის დაგროვება გამოიწვია და უარყოფითად იმოქმედა მის პირად ურთიერთობებზე. როდესაც ის საუბრობდა იმაზე, თუ როგორ იმოქმედა აზარტულმა თამაშებმა მის ურთიერთობებზე ოჯახთან, მეგობრებთან და სხვა მნიშვნელოვან ადამიანებთან მის ცხოვრებაში? და ასევე საუბრობდა იმის შესახებ თუ შექმნია სამართლებრივი ან ფინანსური პრობლემები აზარტულ თამაშებში ჩართულობის გამო . რესპონდენტმა მისი დამოკიდებულების მავნე შედეგები აღიარა და თქვა: „ბევრი ფული მჭირდებოდა, ამიტომ ბევრი ვალი დამიგროვდა, რომელიც უნდა გადავიხადო ძირითადად ლომბარდში.„უარყოფითი გავლენა იქონია ჩემს ურთიერთობებზე, განსაკუთრებით ჩემს მეგობრებთან. მე დისტანცირებული ვარ მათგან და ჩემი რომანტიკული ურთიერთობა დასრულდა ჩემი აზარტული თამაშების დამოკიდებულების გამო. საბედნიეროდ, ჩემს ოჯახთან ურთიერთობა მნიშვნელოვნად არ დაზარალებულა.“ეს აჩვენებს აზარტული თამაშების დამოკიდებულების მავნე გავლენას ახალგაზრდების ცხოვრებაზე.თუმცა, აღსანიშნავია, რომ ზოგიერთმა რესპონდენტმა აღიარა აზარტულ თამაშებში ჩართულობის შემცირება დროთა განმავლობაში. ერთმა

პირმა განაცხადა: ვცადე და საგრძნობლად შევამცირე გასული წლის განმავლობაში თამაში და ამით ამაყი ვარ. "ეს მიუთითებს, რომ ყველა ახალგაზრდა არ აგრძელებს აზარტულ თამაშებში ზედმეტად ჩართვას, იაზრებენ ხშირ შემთხვევაში გარკვეულ თავისებურებებს და ზოგიერთმა შეიძლება გადადგას ნაბიჯები გამოჯანმრთელების ან მათი ჩართულობის შემცირებისკენ. ინტერვიუების მიმდინარეობისას გამოჩნდა, რომ რეკლამებს დიდი გავლენა აქვთ ადამიანებზე და განსაკუთრებით მათზე, ვისაც არასდროს უთამაშია აზარტული თამაშები, რადგან იწვევს დაინტერესებას ისეთი ფაქტორებით რაც მათ იზიდავთ. ადამიანს შეიძლება შეხება ჰქონდეს ისეთ სოციალურ გარემოსთან, რომლებიც არ არიან დაინტერესებულნი აზარტული თამაშებით შესაბამისად აზარტული თამაშები არ ხდება მათი განხილვის საგანი. რესპონდენტების უმრავლესობა აღნიშნავდა რეკლამების დიდ გავლენას მათი აზარტული ქცევის სტიმულაციაზე რაც საფუძვლიან ეჭვს იძლევა რომ სარეკლამო პოლიტიკა იმაზე უკეთ „ასრულებს თავის დანიშნულებას“ ვიდრე უბრალო პოპულარიზაციაა. გთავაზობთ ერთ-ერთი რესპოდენტის ციტატას:

„ჩემი ძმა იყო დამოკიდებული აზარტულ თამაშებზე მას ამისკენ უბიძგა მიმზიდველმა რეკლამებმა, რომელშიც მისთვის სასურველი მანქანა თამაშდებოდა და ამან გაუღვივა თამაშის სურვილი.“

ასევე აღმოჩნდა, რომ რესპონდენტები კონკრეტულად ერთი სივრიციდან არ იღებენ ინფორმაციას აზარტულ თამაშებზე. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ ინფორმაციას იღებენ, როგორც სატელევიზიო სივრციდან, ასევე ინტერნეტ სივრციდან, სატელეფონო მოკლე ტექსტური შეტყობინებებით, ე.წ ბანერებით და ა.შ. ინტერვიუებმა ნათელი მოჰფინა იმ მექანიზმებს, რომელთა განხორციელებაც შესაძლებელია აზარტულ თამაშებში ახალგაზრდების ჩართულობის შესამცირებლად. რესპონდენტების უმრავლესობა აღნიშნავს სახელმწიოფსგან ოფიციალური დახმარების ან მხარდაჭერის პროგრამების შესახებ ცნობიერების ნაკლებობას საზოგადოებაში და რესპონდენტების დიდი ნაწილი ძირითადად ეყრდნობოდა თვითდახმარებას და ნაცნობების მხარდაჭერას. ეს მიუთითებს პოტენციურ ხარვეზზე შესაბამისი მხარდაჭერის სისტემების წვდომისას. სხვა რესპონდენტმა აღნიშნა სახელმწიფო სამსახურის სავარაუდო არსებობა რის შესახებაც

დარწმუნებით ვერ განაცხადა არსებობდა თუარა, მაგრამ თქვა, რომ ამის შესახებ სმენია და ეს სავარაუდოდ მოიცავს აზარტული თამაშების,ონალინ პლატფორმებიდან თვითგამორიცხვის მომსახურებას (რომელიც ამერიკაში და ევროპის სხვა ქვეყნებში უკვე არის დანერგილი ჩვენი კვლევის მიხედვით) „ერთადერთი რის შესახებაც გამიგია არის სამთავრობო სერვისი, თუ მოითხოვ და კონკრეტულ ცხელ ხაზზე დარეკავ შავ სიაში შეგიყვანენ და გარკვეული დროის განმავლობაში, საუბარია რამდენიმე წელზე, შენთვის მიუწვდომელი ხდება ნებისმიერი აზარტული თამაშების პლატფორმაზე დარეგისტრირება. სხვა არანაირ ინფორმაციას ვფლობ ამ საკითხზე ვინაიდან თავად მოვახერხე ამის გაკონტროლება.“

 თუმცა რესპონდენტების უმრავლესობას არ აქვს საერთოდ ამის შესახებ ინფორმაცია. ინტერვიუებიდან ჩანს, რომ რესპონდენტები, რომლებიც ცდილობენ აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება დაძლიონ სხვადასხვა ტიპის მეთოდებს იყენებენ. ერთ-ერთმა რესპონდენტმა ხაზი გაუსვა ფიზიკურ აქტივობებში, ვარჯიშსა და ჰობებში ჩართვას, როგორც დამოკიდებულების დაძლევის ერთ-ერთ საშუალებას. მან განაცხადა: " ძირადად გარეთ გასვლებით ფიზიკური აქტურობა, ვარჯიში,ჰობი რავი, აი ცურვა მიყვარს ძალიან. მარა ზოგჯერ ყველაფერი მთლად მასე კარგადაც არ მიმდის ცუდ ხასიათზე თუ ვარ ან განერვიულებული ან მოწყენილი კარტს უეჭველი ვთამაშობ რო გავერთო აი რეალური პრობლემა მანდ მჭირს, რო სიტყვაზე პოკერი როგორ ვითამაშო საიტზე შევიდე და იქ თუ ფული არ დავხარჯო და მეგობრებს დავუძახო მარა ეს მეგობრებთან დაძახებაც ცოტა უფრო ცუდი გამომდის იმიტორო ძირითადად ისინი მოდიან ყველაზე ხშირად რომლებიც თითონაც თამაშობენ და ხშირად ხდება ისე რო შევალთ აჭარაზე და რეალურ პოკერს ვითამაშებთ, ერთი კარგი ისაა რო მაგ დროს ყველაზე ცოტას ვხარჯავთ მარა მაინც რა რთული საქმეაა.“აქედან გამომდინარე ჩანს რომ მხოლოდ ინდივიდუალური მიდგომები არ არის საკმარისი და საჭიროა დამოკიდებულებასთან საბრძოლველად მრავალი ხერხის არსებობა, რომელიც უნდა დაინერგოს როგორც ქვეყანაში ფუნქციონირებადი სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ და ასევე სახელმწიფოს მხრიდან და ის უნდა იყოს ხელმისაწვდომი. რაც უფრო მასშტაბურ და ფართო კვლევას საჭიროებს.

რესპონდენტები ინტერვიუს მიმდინარეობისას საუბრობდნენ სხვადასხვა ფაქტორებზე,რომლებმაც უბიძგეს აზარტული თამაშებით დაინტერესებისკენ. გამოიკვეთა ერთ-ერთი ფაქტორი,რომელიც ყველაზე ხშირი იყო რესპონდენტებში. უმეტესობა აღნიშნავდა,რომ აზარტული თამაშების მიმართ ინტერესი გაუღვივა არასაკმარისმა შემოსავალმა, რომელიც მათთვის არასაკმარისი იყო, სწორედ ამ ყოველთვიური თანხის „გაორმაგებას“ ემსახურებოდა აზარტულ თამაშებში ჩართვა. გთავაზობთ ერთ-ერთი რესპონდენტის ციტატას:

„პირველ ეტაპზე,როდესაც აზარტული თამაშებით დავინტერესდი ეს არ იყო გართობის მიზნით, ეს იყო ყოველთვიური შემოსავლის გაზრდის მიზნით,რაც პირველ ეტაპზე გამომივიდა,მაგრამ შემდეგ დამოკიდებულება იმდენად გამიმძაფრდა აზარტული თამაშებისადმი,რომ ვერ ვიაზრებდი ჩემი ყოველთვიური შემოსავალი გაზრდის ნაცვლად როგორ იკლებდა.“

საერთო ჯამში,ინტერვიუებიდან ჩანს,რომ აზარტული თამაშები არ არის მხოლოდ გართობის საგანი და მას შეუძლია გამოიწვიოს ისეთი სახის პრობლემები,რომელებსაც ადამიანისთვის დიდი ზიანის მოტანა შეუძლია. ინტერვიუს მიმდინარეობისას გამოჩნდა არაერთი პრობლემა,რომელსაც გადააწყდნენ რეპოდენტები. მაგალითად: ფინანსური პრობლემები, ფსიქოლოგიური პრობლემები, კონფლიქტი ოჯახის წევრებთან და ახლო მეგობრებთან კონტაქტის გაწყვეტა რაც თავის მხრივ აისახება მათ სოციალიზაციაზეც. აგრეთვე ინტერვიუებიდან გამოჩნდა ასეთი ტიპის ადამიანებისთვის დახმარების გასაწევად სპეციალური ორგანიზაციის ან სახელმწიფო პროგრამის აუცილებლობაც. საბოლოო ჯამში ინტერვიუებიდან ჩანს პრობლემის სერიოზულობა და იგი კომპლექსურ მიდგომას საჭიროებს მის მოსაგვარებლად.

რეკომენდაციები

1) სასურველია შეიქმნას სახელმწიფო ოფიციალური სერვისი,რომელიც შესთავაზებს აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულ პირებს და მათ შორის სტუდენტებსაც სხვადასხვა სახის სერვისს ფსიქიკურ/მენტალური კუთხით იქნება ეს თერაპიის კურსები, ფსიქოლოგთან კონსულტაცია და ა.შ.

2) დაინერგოს ის პრაქტიკები ქვეყანაში რაც ამ მიმართულებით არსებობს სხვა ევროპულ ქვეყნებში, პირველ რიგში ეს ეხება საერთო ცხელ ხაზს, რომელიც ადამიანებს მარტივად დააკვალიანებს დახმარების მიღების გზაზე.

3) სახელმწიფოს მიერ მიღბულ კანონში ცვლილების შეტანა და ონლაინ კაზინოების კიდევ უფრო მკაცრი კონტროლის მექანიზმების შემუშავება.

4) ცნობიერების ამაღლების კამპანიების სისტემატიურად წარმოების დაწყება სახელმწიფოს და სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან, რათა უკეთ იცოდეს საზოგადოებამ აზარტული თამაშების უარყოფითი ზეგავლენის შესახებ და ასევე გამახვილდეს ყურადღება ამ პრობლემასა და სუიციდის კავშირზე.

5) სტუდენტებისთვის და ზოგადად ახალგაზრდა ადამიანებისთვის ანაზღაურების გაზრდა შრომით ბაზარზე უნდა იყოს სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი და მხარდაჭერილი, რადგან ერთ-ერთ მთავარ მიზეზს სტუდენტების აზარტულ თამაშებში ჩართულობისას არასაკმარისი ანაზღაურება წარმოადგენს.

6) სახელმწიფოს/არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან სისტემატიური ტრენინგების წარმართვა და მონიტორინგი, რათა ამ პრობლემას ეფექტურად ვებრძოლოთ.

დასკვნა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის,სოციოლოგიის სასწავლო პროგრამის საბაკალავრო საფეხურის სტუდენტებმა საბაკალავრო ნაშრომის მომზადების ფარგლებში შევისწავლეთ აზარტულ თამაშებზე დამოკიდებული სტუდენტების სოციალური გარემო, კვლევის სისრულეში მოყვანისთვის გამოვიყენეთ როგორც, რაოდენობრივი მეთოდი, რომელიც მოიცავდა

ონლაინ კვლევის წარმართვას, ასევე თვისებრივი მეთოდი,რომლის დროსაც ჩავატარეთ სიღრმისეული ინტერვიუ.

კვლევის მიზანს წარმოადგენს,იმის დადგენა,თუ რამდენად არიან სტუდენტები აზარტულ თამაშებში ჩართული და რა გავლენას ახდენს აზარტული თამაშები მათ სოციალურ გარემოზე და სხვა ფაქტორებზე, როგორიც არის: მენტალური ჯანმრთელობა, ფინანსური კეთილდღეობა, გარშემომყოფებზე ზემოქმედება და ა.შ.

კვლევა როგორც უკვე აღვნიშნე ჩატარდა როგორც რაოდენობრივი მეთოდით ასევე თვისებრივი მეთოდით. რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 200 სტუდენტი თვისებრივ კვლევაში კი მონაწილეობა 10-მა რესპონდენტმა მიიღო. კვლევაში მონაწილეობა მიიღეს სტუდენტება,რომლებსაც წარსულში ჰქონდათ გამოცდილება აზარტულ თამაშებთან დაკავშირებით, ასევე სტუდენტებმა, რომლებიც ახლაც თამაშობენ აზარტულ თამაშებს. კვლევაში ჩაერთო სტუდენტთა ის კატეგორია, რომლებიც აზარტულ თამაშებს არ თამაშობენ, მათთვის აღნიშნული იყო კითხვები,რომელზე პასუხის შემთვევაშიც იქმნება ზოგადი სურათი თუ რა დამოკიდებულება აქვთ სტუდენტებს აზარტული თამაშების მიმართ.

კვლევაში მკაფიოდ გამოიკვეთა, რომ სტუდენტების უმეტესობას რადიკალურად უარყოფითი განწყობა აკავშირებს აზარტულ თამაშებთან, ეს არ ეხება მხოლოდ იმ კატეგორიას, რომელსაც უთამაშია და გამოუცდია მისი უარყოფითი მხარეები, არამედ ეხება იმ კატეგორიასაც, რომელსაც შეხება არ ჰქონია მასთან,მაგრამ გაუგია,თუ რაოდენ ცუდ გავლენას ახდენს იგი ადამიანზე. კვლევის მიმდინარეობისას ჩვენ შევისწავლეთ სხვადასხვა ქვეყნის სტატისტიკა აზარტულ თამაშებთან დაკავშირებით, რომელსაც გავეცანით და მივხვდით, რომ მხოლოდ საქართველოს პრობლემას არ წარმოადგენს აზარტული თამაშები და ის მასშტაბური პრობლემაა. მონაცემების მოპოვების დროს უცხოურ ქვეყნებში წავაწყდით სხვადასხვა სერვისებს და ორგანიზაციებს, რომლებიც ცდილობენ დაეხმარონ ადამიანებს, რომლებსაც სურვილი აქვთ, რომ თავი დააღწიონ

აზარტულ თამაშებს. სამწუხაროდ მსგავსი ორგანიზაციის შესახებ არანაირი ინფორმაცია არ მოიპოვება საქართველოში.

რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში შეგვეძლო გაგვეგო სტუდენტების უმეტესობის აზრი აზარტულ თამაშებთან დაკავშირებით, უმეტესობა თანხმდება იმაზე, რომ ის მხოლოდ გართობის საგანს არ წარმოადგენს და მხოლოდ ამ მიზნით არ იწყებენ ადამიანები მის მოხმარებას. სტუდენტების გარკვეულმა ნაწილმა იმიტომ მიმართა აზარტულ თამაშებს,რომ არ ჰყოფნიდათ ის შემოსავალი, რასაც ყოველ თვე გამოიმუშავებდნენ, იყო კატეგორია, რომელზეც გავლენა სოციალურმა გარემომ მოახდინა, მეგობარმა ითამაშა, მოიგო და მეც მაქვს შანსი მოვიგო. კვლევის მიმდინარეობისას შეგვექმნა შთაბეჭდილება, რომ სტუდენტები საკმარის ინფორმაციას არ ფლობენ აზარტულ თამაშებზე და მის უარყოფით მხარეებზე.

კვლევის მსვლელობისას გამოიკვეთა, რომ რესპოდენტებს უჭირთ დაასახელონ აზარტული თამაშების დადებითი მხარეები, თუმცა უარყოფითის დასახელება ყველამ შეძლო და თან არაერთის.

სტუდენტებმა დააფიქსირეს აზრი იმ კანონთან დაკავშირებით,რომელიც 2022 წლის 1 მარტიდან შევიდა ძალაში, სტუდენტების უმეტესობას მოსწონს კანონი,რადგან აზარტულ თამაშებზე აუციელებელია დაწესდეს მკაცრი რეგულაციები,თუმცა სტუდენტების გარკვეული ნაწილი აღნიშნავს იმას, რომ რეგულაციები არასაკმარისად მკაცრია და უმჯობესი იქნება რამდენიმე პუნქტის მეტად გამკაცრება. უმეტესობამ აღნიშნა, რომ რეკლამას აქვს ყველაზე დიდი გავლენა აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულ ადამიანებზე, შესაბამისად უმჯობესია გამკაცრდეს ეს კონკრეტული რეგულაცია და არ მოიცავდეს იგი მხოლოდ ტელევიზიას, არამედ ეხებოდეს ინტერნეტ სივრცესაც.

აქედან გამომდინარე

- რესპონდენტთა 49% ერთხელ მაინც უთამაშია აზარტული თამაშები

- კვლევის შედეგებიდან გამომდინარე სტუდენტების უმრავლესობას უარყოფითი დამოკიდებულება აქვს აზარტულ თამაშებთან დაკავშირებით.

- რთულია აზარტული თამაშების დადებითი მხარეების დანახვა, თუმცა მას აქვს ბევრი უარყოფითი მხარე, რომელიც მოქმედებს ადამიანის ფსიქოლოგიურ, ფიზიკურ და ფინანსურ მხარეებზე.

- რესპონდენტთა 88% მოსწონს 2022 წლის 1 მარტიდან ამოქმედებული კანონი.

- რესპონდენტთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ ინფორმაციას ძირითადად სოციალური მედიიდან იღებს, შესაბამისად ფიქრობენ, რომ კანონში ეს ფაქტი აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული.

- კვლევის მიმდინარეობისას გამოიკვეთა,რომ არ არსებობს შესაბამისი ორგანიზაცია, რომელიც აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულ ადამიანებს დახმარებას გაუწევს.

- რესპონდენტთა 77% თვლის, რომ აუცილებლად უნდა არსებობდეს შესაბამისი ორგანიზაცია, რადგან მძიმე ფსიქოლოგიური მდგომარეობის მქონე ადამიანს არ შესწევს იმის უნარი, რომ მარტო დააღწიოს თავი აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას.

გამოყენებული ლიტერატურა

Agenzia delle dogane e dei Monopoli. (2023, May 6). Retrieved from Agenzia delle dogane e dei Monopoli: https://www.adm.gov.it/

Becker, H. S. (1963). *Outsiders: Studies in the Sociology of Deviance.* New York: The Free Press.

Canada Gambling Sstatistics. (n.d.). Retrieved from Made in CA: https://madeinca.ca/gamblingcanadastatistics/#:~:text=Gambling%20Statistics%20for%20Canadians&text=The%20average%20Canadian%20spends%20%246.75,money%20on%20gambling%20every%20month

Gioca Responsabile. (2023, May 6). Retrieved from Gaming Hall: http://www.gaminghall.eu/vlt-2/

Grant, J. E., Lust, K., Christenson, G. A., Redden, S. A., & Chamberlain, S. R. (2019, March 23). *Gambling and Its Clinical Correlates in University Students.* Retrieved from Europe pmc: https://europepmc.org/backend/ptpmcrender.fcgi?accid=PMC5955216&blobtype=pdf

I princìpi del Servizio sanitario nazionale (SSN). (2023, May 6). Retrieved from Servizio sanitario nazionale: i LEA: https://www.salute.gov.it/portale/lea/dettaglioContenutiLea.jsp?area=Lea&id=5073&lingua=italiano&menu=vuoto

International Association of Gaming Regulators. (2023, May 6). Retrieved from nternational Association of Gaming Regulators: https://iagr.org/

Marionneau, V., & Nikkinen, J. (2022). Gambling-related suicides and suicidality: A systematic review of qualitative evidence. *Frontiers*.

Meraki. (2023, May 6). Retrieved from Cisco Meraki: http://ap.meraki.com/

MINISTRY OF FINANCE OF THE RUSSIAN FEDERATION STATISTICS. (2023, May 6). Retrieved from MINISTRY OF FINANCE OF THE RUSSIAN FEDERATION: https://archive.minfin.gov.ru/en/statistics/

National Council on Problem Gaming. (2023, აპრილი 3). Retrieved from National Council on Problem Gaming: https://www.ncpgambling.org/programsresources/helplinemodernization/#:~:text=In%20221%2C%20calls%20to%20the,numbers%20to%20continue%20to%20increase

Statistics and research. (2023, აპრილი 8). Retrieved from Gambling Comission: https://www.gamblingcommission.gov.uk/about-us/statistics-and-research#:~:text=In%20year%20to%20March%202023%2C%20the%20in%2Dperson%20gambling%20participation,to%20year%20to%20March%202022

UK Gambling Statistics 2023. (2023, May 3). Retrieved from Gambling Statistics UK 2023: https://www.xace.io/payments/uk-gambling-statistics-2023

ლექსიკონი-ცნობარი სოციალურმეცნიერებებში, მიჩვევა. (2016). მოძიებული ლექსიკონი-ცნობარი სოციალურ მეცნიერებებში: http://dictionary.css.ge/content/addiction-დან

სათამაშობიზნესთან დაკავშირებული საკანონმდებლოცვლილებები. (2022, თებერვალი 23). Retrieved from შემოსავლების სამსახური: https://www.rs.ge/LawNewsArchive?newsId=574

სათამაშობიზნესის სექტორში დასაქმებულთა დამიანთა რიცხონობა. (2021 წლის 6 ივლისი). მოძიებული საქართველოს სათამაშობიზნესის ასოციაცია: https://www.gga.org.ge/ka/statistics/5-დან

საქართველოში აზარტულთამაშებში ჩართული მოსახლეობის სტატისტიკა. (2020 წლის 9 ოქტომბერი). მოძიებული on.ge: https://on.ge/story/6606%209/10/2020-დან

დანართები

დანართი 1

D1. თქვენი სქესი:
200 responses



დანართი 2

B3. ოდესმე მოგიგიათ თუ არა ისეთი მოცულობის თანხა, რომლითაც კმაყოფილება განგიცდიათ?
121 responses



დანართი 3

G4. რა გზით შეიძლება დავეხმაროთ აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულ ადამიანს?
200 responses



დანართი 4

C2. ოდესმე დაგიმალავთ თუ არა მეგობრებისთვის,ოჯახის წევრებისთვის და თქვენ გარშემო მყოფებისთვის აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულების არსებობა?
113 responses



დანართი 5

F2. როგორ ფიქრობთ, აზარტული თამაშების რეკლამა გავლენას ახდენს თქვენს აზარტულ ქცევაზე / თამაშის სურვილის გაღვივებაზე?
200 responses



დანართი 6

I3. 2022 წლის პირველი მარტიდან შევიდა ძალაში კანონი აზარტულ თამაშებთან დაკავშირებით,რომელიც მოიცავს შემდეგ შეზღუ...ბით თუ არა ზემოთ ჩამოთვლილ დებულებებს?
200 responses